დასუფთავების მომსახურების შესახებ

ხელშეკრულება N 20

დაბა ადიგენი 1 8 თებერვალი 2016 წ.

ერთის მხრივ, **ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობა** (შემდგომში „შემსრულებელი“.მის:დ.ადიგენი,თამარ მეფის ქუჩაN5, ა/ა GE24NB0330100200165022 ს/კ 222729162,სახელმწიფო ხაზინაTRESGE22), წარმომადგენილი **გამგებლის ზაქარია ენდელაძის** სახით და მეორეს მხრივ დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლა წარმომადგენელი სკოლის დირექტორი სვეტლანა ბოჩიკაშვილის სახით[მისამართი დაბა აბასთუმანი რუსთაველის ქ-40. ა/აGE75LB0121195590367000 ს/კ 222727958 ბანკის კოდი LBRTGE22) (შემდგომში „დამკვეთი“)

"დამკვეთი" და "შემსრულებელი" შემდგომ ტექსტში ერთობლივად მოხსენიებულია როგორც "მხარეები".

მუხლი 1

ხელშეკრულების საგანი

1.1 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობა მოიცავს „შემსრულებლის“ მიერ საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის უზრუნველყოფას დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლის ტერიტორიიდან.

1.2 CPV 90500000

მუხლი 2

მომსახურების ანაზღაურების წესი და პირობები

2.1 ამ ხელშეკრულების შესაბამისად გაწეული მომსახურებისათვის მოსაკრებელს „დამკვეთი“ „შემსრულებელს“ გადაუხდის ყოველთვიურად ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2 ივნისი 2015 წლის N 28 დადგენილებით განსაზღვრული წესით.

2.2 ანაზღაურება ხდება ბავშვთა რაოდენობის მიხედვით და განისაზღვრება 1 ბავშვზე 0.05 ლარით.

2.3 ბავშვთა რაოდენობა შეადგენს 112-ს,ხოლო გადასახადი დასუფთავების მომსახურებისათვის შეადგენს თვეში 5.6 ლარს

2.4 ხელშეკრულების ღირებულება 2016 წლის 1 8 თებერვლიდან 2016 წლის31დეკემბრის ჩათვლით შეადგენს: 61.60ლარს

2.6 ანგარიშსწორების საფუძველს წარმოადგენს „შემსრულებლის“მიერ წარმოდგენილი ქვითარი.

2.5 ანგარიშსწორება განხორციელდება თვეში ერთხელ ქვითრის ან/და ურთიერთშედარების აქტის შესაბამისად ყოველი თვის 20 რიცხვამდე

შემდეგ რეკვიზიტებზე: ა/ა **200122900** – სახაზინო ანგარიში

დასუფთავების სახაზინო კოდი – 300613189; ერთიანი საგადასახადო ანგარიში

მუხლი 3

მხარეთა უფლებები და მოვალეობები

3.1. „დამკვეთი“ უფლებამოსილია:

- მოსთხოვოს „შემსრულებელს“ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება გულისხმიერად, ხარისხიანად და შეთანხმებული პირობების დაცვით;
- მოთხოვოს „შემსრულებელს“ ამ ხელშეკრულების პირობათა დაცვა.

3.2. „დამკვეთი“ ვალდებულია:

- აუნაზღაუროს „შემსრულებელს“ მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით და პირობებით;
- სრულად დაიცვას ამ ხელშეკრულების პირობები

3.3. „შემსრულებელი“ ვალდებულია

- ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განახორციელოს გულისხმიერად, ხარისხიანად და მოქმედი ნორმატივების დაცვით,
- სრულად დაიცვას ამ ხელშეკრულების პირობები.

3.4. „შემსრულებელი“ უფლებამოსილია

- მოითხოვოს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება იმ პირობებითა და ოდენობით, რაც დადგენილია ამ ხელშეკრულებით;
- მოთხოვოს „დამკვეთს“ სრულად დაიცვას აღნიშნული ხელშეკრულების პირობები

მუხლი 4

ფორს მაჟორი

ამ შემთხვევაში, თუ მთლიანად ხელშეკრულების ან რომელიმე სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება შეზღუდულია ან შეუძლებელი გახდა ისეთი გარემოებათა გამო, რომელზეც ხელშეკრულების მხარის კონტროლი არ ვრცელდება, კერძოდ, ხანძარი, აფეთქება, ეპიდემია, ქარიშხალი, მეწყერი, წყალდიდობა ან ნებისმიერი სხვა მსგავსი სახის ბუნებრივი მოვლენა; ომი, სახელმწიფო თუ სამხედრო გადატრიალება, სამოქალაქო არეულობა, ბლოკადა ან სხვა მსგავსი სახის მოვლენა ან ნებისმიერი ისეთი გარემოება, რაც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ითვლება ფორს მაჟორული ხასიათის მქონედ, მაშინ ასეთი მხარე განთავისუფლდება ხელშეკრულებით, ან მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული პასუხისმგებლობისაგან ფორს მაჟორული გარემოების მოქმედების მთელი დროის მანძილზე. ამასთანავე, ასეთი მხარე დაუყოვნებლივ აცნობებს მეორეს ფორს მაჟორული გარემოების დადგომის შესახებ, ყოველგვარ ძალისხმევას მიმართავს მსგავსი გარემოების თავიდან ასაცილებლად და ფორს მაჟორული გარემოების მოქმედების შეწყვეტისთანავე დაუყოვნებლივ განაახლებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

მუხლი 5

ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2016 წლის 18 თებერვლიდან 2016წ 31 დეკემბრის ჩათვლით თუ კი ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე ერთი თვით ადრე მხარეები არ გამოთქვამენ სურვილს შეწყვიტონ ხელშეკრულება

ან ცვლილებები შეიტანონ მასში, იგი ავტომატურად გრძელდება იგივე ვადით და პირობებით. აღნიშნული გაგრძელების მექანიზმი მოქმედებს ვადის ყოველი ამოწურვისას.

5.2. ხელშეკულების ვადამდე ადრე შეწყვეტა შეიძლება მოხდეს მხარეთა შეთანხმებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში 30 დღით ადრე წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით;

5.3. ხელშეკრულების შეწყვეტა არ გულისხმობს წინათ განხორციელებული თუ დაგეგმილი საქმიანობის კონფიდენციალურობის დაუცველობას.

5.4. „დამკვეთს" უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, თუ „შემსრულებლის" მხრიდან ადგილი ექნება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაფინანსების ფარგლებში თანხების არამიზნობრივ ხარჯვას ან და მისი პირობების შეუსრულებლობას.

მუხლი 6. მარეგულირებელი სამართალი და დავათა გადაწყვეტა

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება განიმარტება და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2. მხარეთა შორის არსებული დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით.

6.3 შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას წყვეტს საქართველოს სასამართლო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 7. სამართალმემკვიდრეები და უფლებამონაცვლეები

წინამდებარე ხელშეკრულების დებულებები ცალსახად და უპირობოდ ვრცელდება ამ ხელშეკრულების მხარეებზე და მათ შესაბამის სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლეებზე.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს მასში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით მხარეთა შორის გაფორმებულ ერთიან და მთლიან ხელშეკრულებას, რომელიც ცვლის მხარეთა შორის აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მანამდე არსებულ ნებისმიერ და ყველა შეთანხმებასა და წერილობით დოკუმენტს.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ჩაითვლება არაკანონიერად, ამგვარი დებულების ძალის დაკარგვა ზემოქმედებას არ მოახდენს წინამდებარე ხელშეკრულების სხვა დებულებების ქმედითობაზე.

8.3. წინამდებარე ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით. ამასთან, ცვლილება ან დამატება შესრულებული უნდა იყოს წერილობით და სათანადოდ ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

8.4. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა შესაძლო დანართი შეადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მათი განმარტება და აღსრულება წარმოებს მოცემული ხელშეკრულების ყველა დანარჩენ პირობასთან ერთად.

8.5. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერისთანავე.

8.6. ხელშეკრულება შესრულებულია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე. ყოველ მხარეს გადაეცემა ამ ხელშეკრულების ერთი ქართული ეგზემპლარი.

მუხლი 9

მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები:

მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები:

"შემსრულებელი"

ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობა.
მისამართი: დ.ადიგენი თამარმეფის ქ.N 5
სახელმწიფო ხაზინა TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022 ს/კ 222729162

ადიგენის მუნიციპალიტეტის
გამგებელი: ზ.ენდელაძე

"დამკვეთი"

დ.ბ. ახალციხეების საჯარო სკოლის დირექტორი

/ს. ბოჩიკაშვილი/